Untitled

Kakhaber Dzimistarishvili

Wed 10/3/2018 4:34 PM

To:David Sergeenko <dsergeenko@moh.gov.ge>;

მარინა დარახველიძისგან მივიღე შენიშვნები "გაიდლაინთან" დაკავშირებით. მე ტექსტი უფრო გავშალე თქვენი მოსაზრებების საფუძველზე და რიგ დაზუსტებებს მოითხოვს მარინა. ყველასგან დაველოდები დღის ბოლომდე შენიშვნებს და ხვალ დეტალურად გავივლით მარინასთან სხვა შენიშვნების გათვალისწინებით და ხელსაც მოვაწერთ. ხვალვე, იგივე ცხრილს წარმოგიდგენთ კიდევ ერთხელ და ეს იქნება ყოველდღიურად, თუნდაც ერთიდაიგივე მეორდებოდეს ჩანაწერებში. ოდესღაც, მაინც შეიცვლება რაღაცეები, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მთავარია, ყოველდღე მოდიოდეს ეს ინფორმაცია.

ხვალ შევიკრიბებით და დავასრულებთ. ყველაფერს მოგახსენებთ დასრულებისთანავე. ხელმოწერილ დოკუმენტს კი დავარეგისტრირებ დეს-ში და შეინახავს ნანა ალანია.

პატივისცემით, კახა

P.S. ბატონო დავით, ბოლო დროინდელმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ წამოჭრა ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის საჭიროების აუცილებლობა, რაზეც თქვენ არაერთხელ გისაუბრიათ და დავალებებიც გა(მო)გიციათ, თუმცა ჩვენ ეს არ შევასრულეთ. მე ვიღებ ჩემ თავზე ჩემ წილ პასუხისმგებლობას. ამიტომაც დავიბარე IT - ის წამყვანი ხალხი და ვისაუბრეთ, დღეს უკვე ვესაუბრე ბატონ ზაზა ბოხუას და ვუთხარი, რომ ეხლა ამის შეხსენება ბატონი დავითისათვის გამოიწვევს იმას, რასაც გამოიწვევს მეთქი, ამიტომ უნდა შევიდეთ კონკრეტული წინადადებებით მეთქი და ასეც შევთანხმდით. ამას გეუბნებით მხოლოდ იმიტომ რომ იქნებ თქვენც დაგვიმატოთ თავიდანვე რაიმე წინადადადება, თორემ მე ვთავაზობ ამ ხალხს, რომ იმაზე საუბარს, რომ მაღალანაზღაურებადი უნდა მოვიყვანოთ და ა.შ. ჯობია გავანებოთ თავი, განვსაზღვროთ ამ ადამიანის შესასრულებელი სამუშაოები და არავის მოყვანა არ არის საჭირო, ჩვენივე თანამშრომელს დავავალოთ ფუნქციების ფორმალიზებული განსაზღვრით, ანუ ბრძანებით დავნიშნოთ მენეჯერად, ამ ფუნქციის შესრულება. და ყოველ ასეთ არასტადარტულ შემთხვევაში გვეცოდინება ვის მოვთხოვოთ პასუხი და მასაც ექნება ამაზე პასუხები. ის იქნება პასუხისმგებელი სხვადასხვა უწყებებთან კოორდინირებულ მუშაობაზე და იქნება თქვენი პასუხისმგებლობის ქვეშ.

მე ახალს არაფერს გეუბნებით, ეს თქვენ ჩემზე უკეთაც იცით და ბევრიც გიფიქრიათ ამ საკითხებზე. მე, უბრალოდ, აღნიშნულს მხოლოდ იმიტომ გითანხმებთ, იქნებ თქვენც რაღაც წინადადება გქონოდათ ტავიდანვე, თუ არადა ჩვენ დავიწყებთ და, მაქსიმუმ 2-3 კვირაში, ანუ დაახლოებით 25 რიცხვისთვის კონკრეტული სამუშაოთა აღწერილობით შემოვალთ თქვენთან.

მადლობა